ხელშეკრულება N 02-100401

შესყიდვა ხორციელდება „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2012 წლის N69 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) საფუძველზე.

დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრები.

ქ. თბილისი **04 ოქტომბერი 2012 წ.**

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი **დირექტორის ირაკლი კვაშილავას** სახით და მეორეს მხრივ, **სს „საქწყალპროექტი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინო ფალავანდიშვილის** სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან დადგენილების დანართი N1-ით გათვალისწინებული **N22 - საპროექტო მომსახურების,** კერძოდ, დაბა სურამის გვერდისუბნის, ბაიაანთხევისა და ზინდისის უბნების წყალარინების სისტემის მოწყობის საპროექტო მომსახურების შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოების ტექნიკური დავალება მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ღირებულების **2%-ს,** მაგრამ არაუმეტეს **32 000 (ოცდათორმეტი ათასი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა (მათ შორის ექსპერტიზის ხარჯი) და გადასახადის გათვალისწინებით.

2.2. ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

2.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

3. **ანგარიშსწორების წესი**

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების 90%-ის ოდენობით.

საბოლოო ანგარიშსწორება დარჩენილი 10%-ის ოდენობით განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების ეტაპზე საპროექტო დოკუმენტაციის დადებითი შეფასებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

4. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს (პროექტირების დეპარტამენტის უფლებამოსილი წარმომადგენლები) უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა პირობებით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების გამოსწორება.

4.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უფლებამოსილი პირები.

5. **მომსახურების შესრულების პირობები**

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

5.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 30 ოქტომბრისა.

5.3. პროექტის წარდგენა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას N5, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ცენტრალური ოფისი.

5.4. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს პროექტის 4 (ოთხი) ეგზემპლიარი ქართულ ენაზე და 1 (ერთი) ეგზემპლარი ინგლისურ ენაზე, ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით, ასევე BOQ -ის ხარჯთაღრიცხვა.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია მომზადებულ პროექტს საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს ექსპერტიზა.

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო მოსახურების გაწევის შემდეგ ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების დასახელება, ღირებულება, ჯამური თანხა, ხარისხობრივი შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს კომპანიის პროექტირების დეპარტამენტის წარმომადგენელი.

7. **პასუხისმგებლობა**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. **ფორს-მაჟორი**

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას , თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. **ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

12. **სადაო საკითხების გადაწყვეტა**

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. **უფლებების გადაცემა**

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

14. **შეტყობინების განხორციელება**

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. **გადასახადები და დაბეგვრა**

15.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. **დამატებითი პირობები**

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
მის: ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N5
სს „ლიბერთი ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
კოდი: 220101480
ა/ა N GE77LB0113123325230012
ს/კ 412670097

ირაკლი კვაშილავა
დირექტორი

მიმწოდებელი:

სს „საქწყალპროექტი"
მის:ქ.თბილისი, მოსაშვილის ქ N11.
სს „ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა GE60LB0114156935435000
ს/კ 204853943
ტელ: 222 07 06

ნინო ფალავანდიშვილი
დირექტორი

დანართი N1

ხელშეკრულება N-02-100401

ტექნიკური დავალება

პროექტის დასახელება: დაბა სურამის გვერდისუბნის, ბაიაანთხევისა და ზინდისის უბნების კანალიზაციის სისტემის მოწყობა

ჩასატარებელი სამუშაოები:

გვერდისუბნის ქუჩებსა და ჩიხებში წყალარინების საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა, შემდგომში მოსახლეობის მიერთების შესაძლებლობის გათვალისწინებით (მოსახლეობის საანგარიშო რაოდენობა 1400-1500 კაცი, დამსვენებლების ჩათვლით)

ბაიაანთხევის ქუჩებსა და ჩიხებში წყალარინების საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა, შემდგომში მოსახლეობის მიერთების შესაძლებლობის გათვალისწინებით (მოსახლეობის საანგარიშო რაოდენობა 2200-2300 კაცი, დამსვენებლების ჩათვლით)

ზინდისის ქუჩებსა და ჩიხებში წყალარინების საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობა, შემდგომში მოსახლეობის მიერთების შესაძლებლობის გათვალისწინებით (მოსახლეობის საანგარიშო რაოდენობა 1500-1600 კაცი, დამსვენებლების ჩათვლით)

სამივე უბნის კანალიზაციის სისტემის მიერთება უნდა მოხდეს რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 500 მმ-იან კოლექტორზე არსებულ ჭებში.

პროექტი არ ითვალისწინებს ასფალტის საფარის მოწყობას, ამოღებული გრუნტის გატანა გათვალიწინებულია 5 კმ მანძილზე, მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ ადგილზე.

პროექტის ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას (4 ეგზ.) ელექტრონული (PDF) ვერსია.

პროექტის სახარჯთაღრიცხვო ნაწილი შედგენილ უნდა იქნეს მათ შორის, სამშენებლო-სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და წესების მიხედვით.

საპროექტო ორგანიზაცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და სერვისცენტრთან ერთად უზრუნველყოფს კანალიზაზიის ტრასირებასთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან და უწყებასთან, თუ ფიზიკურ პირთან წინასწარ შეთანხმებას.

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

ირაკლი კვაშილავა
დირექტორი

მიმწოდებელი:

სს „საქწყალპროექტი"

ნინო ფალავანდიშვილი
დირექტორი